მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N11

ქ. მარნეული 21.06.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოიძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, ქამილ ალიევი, რამიზ გიულმამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, რაგიმ ასკეროვი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, ელხან მუფტიევი, სადრადინ ტალიბოვი, რაფიკ ჯაფაროვი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა: - ამირან გიორგაძე, რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ლევონ აკოპიანი, ჯოშგუნ ზეინალოვი, გივი ქველაძე, ბესიკ გუჯეჯიანი, სულეიმან ხალილოვი, მახირ იუსუბოვი.

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე - თეიმურაზ ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი ტარიელ მუსაევი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის მთავარი სპეციალისტი ალიონა მინაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი - რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარე - ოლღა ენდელაძე. SDWM ასისტენტი - მიხეილ ასლიკიანი. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის პიარის განყოფილების უფროსი - მარიამ ხაჩიძე. სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი ქვემო ქართლში - ირმა მჭედლიძე. გაზეთ ,,ოზანი"-ს რედაქტორი - ქამილ მუსაევი.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 ივნისის N03/3955 წერილის განხილვის შესახებ.

3. საფეხბურთო გუნდი ,,განჯელიკი”-ს წერილის განხილვის შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის წერეთლის ტერიტორიული ერთეულის სოფელ წერეთლის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების (777/05. 01.06.2016წ) განხილვის შესახებ.

5. სოფელ შულავერში მცხოვრები მარინე აგულაშვილის განცხადების (744/05. 20.05.2016წ) განხილვის შესახებ.

6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 მაისის N03/3183 წერილის განხილვის შესახებ.

7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 17 ივნისის N1806-03მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1700-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1702-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1701-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1699-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1685-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1770-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1769-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ

15. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 21 ივნისის N1831-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

16. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 20 ივნისის N1821-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

17. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 მარტის N10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ქამილ ალიევმა დააყენა საკითხი ქალაქ მარნეულში, კულტურის სახლის ეზოში მდებარე ნარიმან ნარიმანოვის ძეგლის რეაბილიტაციის შესახებ. აღნიშნა, რომ ძეგლი არის მოუვლელი, აყრილია ფილაქანი და საჭიროებს შეკეთებას. ამ საკითხზე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ნაბი აბდულაევმა გააკეთა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ძალიან ბევრი მოქალაქე მოდის ამ საკითხის მოგვარების თხოვნით და მისი გადაწყვეტა მნიშვნელოვანია. გამოითქვა აზრი, რომ შესწავლილი იქნეს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ძეგლების, ბიუსტებისა და ბარელიეფების მდგომარეობა და მოხდეს მისი განახლება, რის გამოც საკითხი საოქმო დავალებით გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და გადავიდნენ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვაზე.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ,,მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N15. 21.06.2016 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 ივნისის N03/3955 წერილი და ითხოვა მხარდაჭერა, რათა,,საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 4 თებერვლის N54 დადგენილების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის და მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის მრიცხველების შეძენა-მონტაჟისათვის გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ნაშთი დაამატოს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის N265 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ თანხას.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N84. 21.06.2016 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს საფეხბურთო გუნდი ,,განჯელიკი"-ს წერილის (რეგ.N790. 03.06.2016წ) გათვალისწინებით სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს საფეხბურთო გუნდი ,,განჯელიკი"-სათვის საფეხბურთო ფორმების შეძენა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N86. 21.06.2016 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის წერეთლის ტერიტორიული ერთეულის სოფელ წერეთლის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების (777/05. 01.06.2016წ) გათვალისწინებით სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წერეთლის ტერიტორიულ ერთელის სოფელ წერეთელში მდებარე სტადიონისათვის ბალახის საკრეჭი მანქანის შეძენა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N85. 21.06.2016 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს, სოფელ შულავერში მცხოვრები მარინე აგულაშვილის განცხადების (744/05. 20.05.2016წ) გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, როგორც გამონაკლისი, უზრუნველყოს მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში მცხოვრები მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი მოქალაქის მარინე აგულაშვილის სასმელი წყლის დავალიანების გადასახადის გადარიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N87. 21.06.2016 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 მაისის N03/3183 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია შაბან მამედოვისათვის თურქეთში ოპერაციის შემდგომი სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს არ აქვს უფლებამოსილება სოციალური დახმარებების გაწევისა და ამ ეტაპზე მიღებული არაა შესაბამისი ნორმატიული აქტი განსაკუთრებული შემთხვევისას საკრებულოსათვის ამ უფლებამოსილების მინიჭების შესახებ, საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ შაბან მამედოვის სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებისათის თანხა შესაძლებელია გამოიყოს გამგებლის სარეზერვო ფონდიდან, ვინაიდან არის მართლაც განსაკუთრებული შემთხვევა და საქმე ეხება მოზარდს, რომელმაც მუნიციპალიტეტის დახმარების გარეშე შეძლო ურთულესი და ძვირადღირებული ოპერაციის გაკეთება და ახლა, იმისათვის რომ დადგეს შედეგი და შაბან მამედოვს დაუბრუნდეს მხედველობა, აუცილებელია ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის ჩატარება, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და ითხოვეს საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის, ოქმის ამონაწერთან ერთად გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 17 ივნისის N1806-03 მოხსენებითი ბარათი მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის სპორტსმენის ოთარ ნავერიანისა და მისი მწვრთნელის ზურა მუშკუდიანის წასახალისებლად თანხის გადარიცხვის შესახებ, ვინაიდან ოთარ ნავერიანმა რუსეთის ქალაქ ანაპაში, ევროპის ჩემპიონატში კრივში დაიკავა მეორე ადგილი. იმის გათვალისწინებით, რომ წერილს თან არ ახლდა ჩემპიონატში მონაწილეობის და საპრიზო ადგილის დაკავების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, საკრებულოს წევრებმა უარი განაცხადეს საკითხის განხილვაზე სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენამდე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 9 ივნისის N03/3738 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1700-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს შ.პ.ს. ,,მარნეული ტრანსი 2009“-ს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N48 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 202 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.05.747) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N39 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 48 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.17.300) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N77. 21.06.2016 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 09 ივნისის N03/3739 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1702-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს მოქალაქე არტურ გოგიანს (პ/ნ 28001006380) ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე N25 და N27 საცხოვრებელ კორპუსებს შორის მდებარე 25კვ.მ (საკადასტრო კოდი: N83.02.17.086) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N83. 21.06.2016 წ).

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 9 ივნისის N03/3740 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1701-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს მოქალაქე ლელა დეკანოიძეს ქალაქ მარნეულში, აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე, (ბაზრის მიმდებარედ) არსებული 42 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.05.399) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N81. 21.06.2016 წ).

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 9 ივნისის N03/3741 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1699-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს მოქალაქე ინტიგამ ისმაილოვს ქალაქ მარნეულში, სამედ-ვურღუნის ქუჩაზე, (საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ) არსებული 30 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.21.024) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N80. 21.06.2016 წ).

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 9 ივნისის N03/3742 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1685-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, სთხოვა მხარდაჭერა, რათა ნება დაერთოს ს/ს ,,ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N83.02.01.541.) რეგისტრაცია განახორციელოს შ.პ.ს. ,,თბილისი ჯგუფი"-ს მიერ 2016 წლის 23 მაისს შესრულებული ზუსტი საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N76. 21.06.2016 წ).

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1770-03 მოხსენებითი ბარათი ასიფ მეხტიევის მიწის ნაკვეთის კორექტირების შესახებ, ფართობის უცვლელად ისე, რომ მის მიერ ნაწარმოები უნებართვო შენობა-ნაგებობა მთლიანად მოხვდეს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საზღვრებში. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ სასურველია კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი და შემდგომში მოხდეს ამ საკითხის ხელახალი განხილვა, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 ივნისის N03/3869 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1769-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს შ.პ.ს ,,ქართლი თამბაქო"-ს (ს/ნ 434163399) მარნეულის მუნიციპალიტეტის ალგეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თაზაკენდში მდებარე შენობა-ნაგებობა (ყოფილი საბავშვო ბაღის შენობა), რომლის განაშენიანების ფართი შეადგენს 520კვ.მ-ს, მასზედ დამაგრებული 895 კვ.მ (საკადასტრო კოდი: N83.03.16.132) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N82. 21.06.2016 წ).

15. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთხუთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 ივნისის N03/3994 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 21 ივნისის N1831-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს მოქალაქე პავლე სივსივაძეს (პ/ნ. 28001008969) ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე (ყოფილი სოფ. ტექნიკის მიმდებარედ) არსებული 5000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.13.284) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N79. 21.06.2016 წ).

16. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთექვსმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 ივნისის N03/3993 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 20 ივნისის N1821-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სთხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს მოქალაქე ბექა კოპალიანს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N116 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 49 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.19.177) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N78. 21.06.2016 წ).

17. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეჩვიდმეტე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი დავით არაშიძე არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შემუშავებული შესატანი ცვლილებების განხორციელების შესახებ, ინფორმაცია გაუკეთა ამავე სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ალიონა მინაძემ. იმის გათვალისწინებით, რომ წარდგენილი შენიშვნებიდან გათვალისწინებული არ იქნა ძირითადი შენიშვნები, საკრებულოს წევრებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს კენჭი ეყაროს მხოლოდ ერთ ცვლილებას: ონკოლოგიურ ან/და ლეიკემიით დაავადებულ ბენეფიციარს დაავადების საჭიროებიდან გამომდინარე გამოკვლევის ან/და მკურნალობის ან/და ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით, კალენდარული წლის განმავლობაში დახმარება გაეწევა არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობით. ვინაიდან ჩანაწერით ეწერა წელიწაში ერთხელ, რაც ზღუდავდა ამ სახის ბენეფიციარებს დახმარება მიეღოთ არსებული მკურნალობის შესაბამისად, ეტაპობრივად, წლის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N16. 21.06.2016 წ).

საკრებულოს დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ პრეზენტაცია გამართა სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ქვემო ქართლში ირმა მჭედლიძემ, რომელმაც ისაუბრა სახალხო დამცველის წარმომადგენლის უფებამოსილებებზე, იმ დახმარებებზე, რომელიც შეიძლება გაეწიოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მათი მხრიდან და სთხოვა საკრებულოს წევრებს ადგილებზე ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას, რათა მათ საჭიროების შემთხვევაში მიმართონ სახალხო დამცველის ოფისს. ასევე საკრებულოს წევრებს პროექტის პრეზენტაცია წარუდგინა მარნეულის დემოკრატ ქალთა საზოგადოების თავმჯდომარემ ოლგა ენდელაძემ, რომელმაც საკრებულოს წევრებს გააცნო მოქალაქეთა ჩართულობასთან დაკავშირებული დადგენილების პროექტები და ითხოვა მხარდაჭერა, წარმოდგეენილი პროექტების შესწავლის შემდეგ მოხდეს მისი მომდევნო სხდომებზე განხილვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მეთერთმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი